ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8081463

ნომერი: AR11159191

თარიღი : 02.09.2026

გაცემის თარიღი : 14.09.2026

გაცნობის თარიღი : 15.09.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების ძეგლის დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ედილაშვილი პ/ნ 01020010070
- ქ.თბილისი, ოთარ ლორთქიფანიძის 32, ბინა #31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ თბილისში , კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების ძეგლის დასაწყისში , სარეკლამო აბრის (ფასმაჩვენებელი) მოწყობის მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციი (საკადასტრო კოდი: N 01.19.21.003.005; რეგ.ბის რეგისტრაცია მომზადების თარიღი N 882023187086, 13/03/2023წ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ თბილისში , კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების ძეგლის დასაწყისში , სარეკლამო აბრის (ფასმაჩვენებელი) მოწყობის მიზნით I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას სარეკლამო აბრის კონსტრუქციული მდგრადობა

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.